წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარების მიზნით სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისიის სხდომის ოქმიN1

ქ.წყალტუბო 26 თებერვალი2024 წელი 12:00 სთ.

სხდომის თავმჯდომარეობდა- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე-შალვა კილაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გრიგოლ ყურაშვილი, ნათია ჩაკვეტაძე, ფატი გაგოშიძე, ირმა ხელაძე, ლევან ნემსაძე, ციცინო გელენიძე, ირმა ბენიძე , მირანდა მამისეიშვილი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ შალვა კილაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში მცხოვრებ მინდია ზაქარაშვილის ოჯახის ინდივიდუალური გეგმის განხილვა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარების მიზნით სოციალური ღონისძიებების დაფინანსების შესახებ.

2. ქ.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ.საყულიაში მცხოვრები მატრონე ჯინჭარაძის ოჯახის ინდივიდუალური გეგმის განხილვა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარების მიზნით სოციალური ღონისძიებების დაფინანსების შესახებ.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვას. მათივე განცხადებით აღნიშნული საკითხების განხილვასთან დაკავშირებით ინსტერესთა კონფლიქტი არ არსებობს ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: კომისიის თავმჯდომარემ შალვა კილაძემ კომისიას გააცნო მინდია ზაქარაშვილის ოჯახში მომუშავე სოციალური მუშაკისა და მულტიდისციპლინარული ჯგუფის გადაწყვეტილების საფუძველზე მომზადებული დასკვნა.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნათია ჩაკვეტაძემ წარმოდგენილი დასკვნის გათვალისწინებით აღნიშნა, რომ ოჯახი არის სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი. ოჯახს ესაჭიროება მაცივარი, ტელევიზორი, მაგიდა-სკამები კარადა და საწოლები. რისი შეძენის საშუალება არ აქვს. კომისიის წევრებმა იმის გათვალისიწინებით, რომ ოჯახს აქვს მცირე შემოსავალი მიზანშეწონილად მიიჩნია დაკმაყოფილდეს განცხადება თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

წინააღმდეგი 0

მ ი ღ ე ბ უ ლ ი ა გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა: კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, მინდია ზაქარაშვილს ჩაერიცხოს თანხა 2500 (ორიათასხუთასი) ლარი. მაცივრის, ტელევიზორის, მაგიდა სკამებისა და საწოლების შესაძენად. ბენეფიციარმა, მინდია ზაქარიაძემ წარმოადგინოს აღნიშნული ნივთების ღირებულების ანგარიშ ფაქტურა, რის საფუძველზეც თანხა ჩაერიცხება წარმოდგენილ ანგარიშის ნიმერზე. ასევე მიეცეს ვალდებულება ჩარიცხული თანხით შეიძინოს ნივთები.

სოციალური მუშაკის მიერ დასურათებული იქნას შეძენილი ნივთები, შეძენის ქვითარი და დოკუმენტაცია.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: კომისიის თავმჯდომარემ შალვა კილაძემ კომისიას გააცნო მატრონე ჯინჭარაძის ოჯახში მომუშავე სოციალური მუშაკისა და მულტიდისციპლინარული ჯგუფის გადწყვეტილების საფუძველზე მომზადებული დასკვნა .

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნათია ჩაკვეტაძემ წარდგენილი სკრინინგის გათვალისწინებით აღნიშნა, რომ ოჯახი არის სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი. ოჯახს ესაჭიროება გაზი, მაგიდა სკამები, ტელევიზორი და საწოლები რისი შეძენის საშუალებალება არ აქვს. კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაკმაყოფილდეს განცხადება თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8

წინააღმდეგი 0

მ ი ღ ე ბ უ ლ ი ა გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა: კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, მატრონე ჯინჭარაძეს ჩაერიცხოს თანხა 2500(ორიათასხუთასი) ლარი გაზის, მაგიდა სკამების, ტელევიზორისა და საწოლების შესაძენად. ბენეფიციარმა, მატრონე ჯინჭარაძემ წარმოადგინოს აღნიშნული ნივთების ღირებულების ანგარიშ ფაქტურა, რის საფუძველზეც თანხა ჩაერიცხება წარმოდგენილ ანგარიშის ნიმერზე. ასევე მიეცეს ვალდებულება ჩარიცხული თანხით შეიძინოს ნივთები.

სოციალური მუშაკის მიერ დასურათებული იქნას შეძენილი ნივთები, შეძენის ქვითარი და დოკუმენტაცია.

სხდომა კომიასიამ დახურულად გამოაცხადა:

კომისიის თავმჯდომარე — შ. კილაძე

კომისიის წევრები — გ.ყურაშვილი

ნ.ჩაკვეტაძე

ფ.გაგოშიძე

ი.ხელაძე

ლ.ნემსაძე

ც.გელენიძე

ი.ბენიძე

მ.მამისეიშვილი